**ქალაქ თბილისის საკრებულოს**
**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი №19**

24.11.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
6. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
7. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი;
8. ანა გოგოლაძე - კომისიის წევრი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032232627-03; 22.11.2022).**

**მომხსენებელი:**

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**შ.ოგბაიძემ** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

**ვ.აბულაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული დადგენილების პროექტი.

როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დადგენილების მე-4[1] მუხლს, რომლითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასური, ემატება შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3.განისაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასური:

ა) მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 150 ლარის ოდენობით;

ბ) $M_2$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - 500 ლარის ოდენობით;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების (მათ შორის მისაბმელის) შემთხვევაში - 800 ლარის ოდენობით“.

**ვ.აბულაძემ** დასასრულს ხაზი გაუსვა, რომ ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 6 სექტემბერს N1719-IXმს-Xმპ საქართველოს კანონით შეტანილმა ცვლილებებმა.

კომისიის წევრი **ა.გოგოლაძე** დაინტერესდა აქვს თუ არა დედაქალაქის მერიას სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა შეძენილი, რაზეც **ვ.აბულაძემ** უპასუხა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში შესაბამისი ტენდერი გამოცხადდება.

**შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი და ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032232627-03; 22.11.2022)** განხილულ იქნეს საკრებულეს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე